ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2962432

ნომერი: AR1455437

თარიღი : 10.11.2016

გაცემის თარიღი : 25.11.2016

გაცნობის თარიღი : 25.11.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გომი N1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლელა ნინოშვილი პ/ნ 01024044040
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 26 ბ. 7

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1455437 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ.თბილისში, გომის ქუჩა #1–ში არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას. პასუხად გაცნობებთ, რომ 2012 წლის 13 იანვრის #01/74 ბრძანებით შეთანხმდა ქ.თბილისში, ძველი თბილისის რაიონი (სექტორი–კრწანისი), გომის ქ.#1–ში, ი.ბ.ა „გომი“–ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე, საცხოვრებელი

სახლის კორექტირებული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
2016 წლის 9 ნოემბერს #AR1455114 განცხადებით მომართა მოქალაქე დავით კუხალაშვილმა და მოითხოვა ქ.თბილისში, გომის ქუჩა #1, #01.18.03.070.002 საკადასტრო ერთეულზე ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა, რომლის საფუძველზეც ამ ეტაპზე სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.
თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით, წარმოების ჩატარებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.
დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.